

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF
FREEDOM OF INFORMATION



ელექტრონული ჩართულობის სახელმძღვანელო

სახელმძღვანელო მომზადდა პროექტის - „ახალგაზრდებში მთავრობის გასაკონტროლებლად საჭირო ელ-უნარების განვითარება“ - ფარგლებში „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) მიერ.

პროექტი დაფინანსებულია აშშ-ის საელჩოს მიერ. სახელმძღვანელოში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის თვალსაზრისს.

ავტორი:

თეონა ტურაშვილი

სახელმძღვანელოს შექმნაზე ასევე მუშაობდა **ივეტა გოგავა**

თბილისი

2014

შინაარსი

| | |
|---|-----------|
| შესავალი | 3 |
| 1. საჯარო ინფორმაციის ელექტრონული გამოთხოვნა | 4 |
| <i>1.1 საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა</i> | <i>4</i> |
| <i>1.2 ძირითადი ცნებები</i> | <i>5</i> |
| რა არის საჯარო ინფორმაცია? | 5 |
| ვისზე ვრცელდება საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულება? | 6 |
| ვის შეუძლია საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა? | 6 |
| რა ტიპის ინფორმაცია არის საჯარო? | 6 |
| არის თუ არა ყველა ოფიციალური დოკუმენტი საჯარო? | 8 |
| როგორ შეიძლება მოვითხოვოთ საჯარო ინფორმაცია? | 10 |
| <i>1.3 საჯარო ინფორმაციის ელექტრონული გამოთხოვნა</i> | <i>11</i> |
| <i>1.4 საჯარო ინფორმაციის მიღება</i> | <i>15</i> |
| 2. საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება და მისი მონიტორინგი | 16 |
| <i>2.1 რა არის პროაქტიული გამოქვეყნება?</i> | <i>16</i> |
| <i>2.2 საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების სტანდარტი საქართველოში</i> | <i>16</i> |
| 3. საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდების მონიტორინგი | 20 |
| 4. სოციალურ ქსელებში საჯარო დაწესებულებების გვერდების მონიტორინგი | 28 |
| <i>4.1 Facebook გვერდის პოპულარობა</i> | <i>29</i> |
| <i>4.2 Facebook გვერდის ღიაობა</i> | <i>31</i> |
| <i>4.3 უკუკავშირის დონის შეფასება</i> | <i>31</i> |
| <i>4.4 მოქალაქეების კომენტარებზე გამოხმაურება</i> | <i>34</i> |
| <i>4.5 მომხმარებლის კომენტარების ცენზურის ფაქტების გამოვლენა</i> | <i>36</i> |
| <i>4.6 ინტერაქციული აპლიკაციები</i> | <i>38</i> |
| 5. ინტერნეტ ცენზურის შემთხვევების დაფიქსირება | 40 |
| შეჯამება | 41 |
| დანართები | 41 |
| გამოყენებული ლიტერატურა | 49 |

შესავალი

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ინტერნეტ ტექნოლოგიებმა მოქალაქესა და ხელისუფლებას შორის ურთიერთობის ახალ ფორმები წარმოქმნა და კომუნიკაცია შედარებით ადვილი გახადა. ელექტრონული მმართველობა (E-Governance) ეფუძნება ინფორმაციის ონლაინ გავრცელებას და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას ქვეყნის მმართველობაში. იგი მოიაზრებს სახელმწიფო ორგანიზაციების ვებ-გვერდებისა და ელექტრონული სერვისების შექმნას, სადაც განთავსდება ინფორმაცია მათი საქმიანობის, ბიუჯეტების განკარგვის, სახელმწიფო კონკურსების, ვაკანსიების შესახებ, ხელმისაწვდომი გახდება მნიშვნელოვანი მოვლენები, ახალი ამბები და ა.შ.¹ მთავრობის მხრიდან მოქალაქეების ინფორმირება, მათთვის ორმხრივი ინტერაქციისთვის საჭირო გარემოს შექმნა და პოლიტიკური ჩართულობის გაზრდა, თავის მხრივ, ხელს უწყობს ხალხის მონაწილეობას ქვეყნის მართვის პროცესში.²



აღსანიშნავია, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებამ გაამარტივა კომუნიკაცია არამარტო კონკრეტულ საჯარო დაწესებულებებთან, არამედ გაზარდა მთავრობის ანგარიშვალდებულება, გამჭვირვალობა და ღიაობა. თუკი წლების წინ მოქალაქეს მხოლოდ უამრავი ბიუროკრატიული პროცედურის შემდეგ შეეძლო მთავრობისთვის ხმა მიეწვდინა, დღესდღეისობით, ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, მისთვის შესაძლებელია გარკვეული ტიპის ინფორმაცია დაწესებულების ვებ-გვერდზე მოიძიოს, ასევე, ვებ-გვერდზე განთავსებული საკონტაქტო ფორმის მეშვეობით გააგზავნოს მისთვის საინტერესო კითხვა ან საჯარო დაწესებულებას დაუკავშირდეს ოფიციალური Facebook გვერდის მეშვეობით.

თუმცა, ყოველივე ამის გაკეთება მხოლოდ ანგარიშვალდებულებული და პასუხისმგებლიანი ხელისუფლების პირობებში არის შესაძლებელი. კერძოდ, ის თუ რამდენად შეძლებენ მოქალაქეები ინტერნეტის მეშვეობით ინფორმაციის მიღებას და პოლიტიკურ პროცესებში ჩართვას დამოკიდებულია რამდენად სისტემატურად ახლდება მნიშვნელოვანი ინფორმაციით საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდები, რამდენად

¹ როსტიაშვილი ქ. (2010) ელექტრონული მმართველობა საქართველოში: მსოფლიო ტენდენციები. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი.

² Macintosh A. (2004) Characterizing E-Participation in Policy-Making. International Teledemocracy Centre, Napier University

ინტერაქციაზე ორიენტირებული აპლიკაციები იქმნება მათ სოციალურ გვერდებზე, როგორც მოქალაქეების კითხვებზე პასუხის გაცემის სიხშირე და ხარისხი.

აღნიშნულ სახელმძღვანელოში იხილავთ იმ მეთოდებს, რომელთა დახმარებითაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლება მონიტორინგი და დაკვირვება ჩაუტაროს სახელმწიფო დაწესებულებების მიერ განვითარებულ ელექტრონულ სერვისებს და დაადგინოს, რამდენად ეფექტურად ხდება მათი გამოყენება მოქალაქეებთან კომუნიკაციისთვის.

1. საჯარო ინფორმაციის ელექტრონული გამოთხოვნა

1.1 საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

ხელისუფლების ღიაობისა და ანგარიშვალდებულების მიღწევაში დიდი როლი ენიჭება ცალკეული საჯარო დაწესებულებების შესახებ მონაცემებისა ხელმისაწვდომობას. ამ მიმართულებით, საქართველოში ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა.



დაიხვეწა არსებული კანონმდებლობა საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებით და თანდათან ვითარდება ინფორმაციის ონლაინ მოთხოვნის სტანდარტები.

საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად გამოთხოვნის პროცედურების განხილვამდე მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ რა არის საჯარო ინფორმაცია ქართული კანონმდებლობის მიხედვით.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება, რაც მოიცავს ინფორმაციის თავისუფლად მიღების და გავრცელების უფლებას.

1.2 ძირითადი ცნებები

რა არის საჯარო ინფორმაცია?

საჯარო ინფორმაცია არის **ოფიციალური დოკუმენტი** ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია.

საჯარო ინფორმაცია შეიძლება იყოს ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონულ ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები.



საჯარო ინფორმაციის მაგალითები:

- საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი სამინისტროში;
- გახარჯული საწვავისა და მივლინებების შესახებ ინფორმაცია;
- ბიუჯეტის შესრულების ანგარიში;
- შეძენილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების ღირებულება და სხვა.

ვისზე ვრცელდება საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულება?

1. ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსა და დაწესებულებაზე, საჯარო სამართლის იურიდიული პირზე (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერ სხვა პირზე, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს;

2. კერძო სამართლის ნებისმიერ იურიდიულ პირზე სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების ფარგლებში.

სწორედ ეს ორგანოები წარმოადგენენ საჯარო დაწესებულებას.

ვის შეუძლია საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა?

- ნებისმიერ თქვენგანს. არ აქვს მნიშვნელობა თქვენს მოქალაქეობას, რელიგიას, სქესს, კანის ფერს, წარმომადგენლობას თუ შეხედულებებს.
- მოთხოვნა შეგიძლიათ გააგზავნოთ თქვენი ან თქვენი ორგანიზაციის სახელით.

რა ტიპის ინფორმაცია არის საჯარო?

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, დაუშვებელია შემდეგი ტიპის ინფორმაციის გასაიდუმლოება:



1. ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;



2. საჯარო დაწესებულების საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები;

3. საჯარო დაწესებულების სტრუქტურის აღწერა, მოსამსახურეთა ფუნქციების განსაზღვრისა და განაწილების, აგრეთვე გადაწყვეტილებათა მიღების წესი;



4. საჯარო დაწესებულების იმ საჯარო მოსამსახურეთა ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი, რომელთაც უკავიათ თანამდებობა ან ევალუბათ საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოება ან საზოგადოებასთან ურთიერთობა და მოქალაქეთათვის ინფორმაციის მიწოდება;



5. კოლეგიურ საჯარო დაწესებულებაში გადაწყვეტილების მისაღებად გამართული ღია კენჭისყრის შედეგები;

6. არჩევით თანამდებობაზე პირის არჩევასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია;



7. საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ აუდიტორული დასკვნებისა და რევიზიების შედეგები, აგრეთვე სასამართლოს მასალები იმ საქმეებზე, რომელშიც საჯარო დაწესებულება მხარეს წარმოადგენს;



8. საჯარო დაწესებულების გამგებლობაში არსებული საჯარო მონაცემთა ბაზის სახელწოდება და ადგილსამყოფელი, აგრეთვე საჯარო მონაცემთა ბაზისათვის პასუხისმგებელი პირის ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი;



9. საჯარო დაწესებულების მიერ მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების მიზნები, გამოყენების სფეროები და სამართლებრივი საფუძველი;



10. საჯარო მონაცემთა ბაზაში მისი პერსონალური მონაცემების არსებობა ან არარსებობა, აგრეთვე მათი გაცნობის წესი, მათ შორის, იმ პროცედურისა, რომლითაც მოხდება პირის იდენტიფიკაცია, თუ პირმა (მისმა წარმომადგენელმა) შეიტანა მოთხოვნა თავის შესახებ მონაცემების გაცნობის ან მათში ცვლილების თაობაზე;



11. იმ პირთა კატეგორია, რომელთაც კანონით უფლება აქვთ გაეცნონ საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს;



12. საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ მონაცემთა შემადგენლობა, წყაროები და იმ პირთა კატეგორია, რომელთა შესახებ გროვდება, მუშავდება და ინახება ინფორმაცია.



13. ყველა სხვა ინფორმაცია, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით არ არის მიჩნეული სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებად ან არ წარმოადგენს პერსონალურ მონაცემებს.

არის თუ არა ყველა ოფიციალური დოკუმენტი საჯარო?

არა, ყველა მონაცემი არ არის საჯარო. გარკვეული სახის ინფორმაცია დახურულია, რადგან შეიცავს **სახელმწიფო, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას, აგრეთვე პერსონალურ მონაცემებს**.

პირადი საიდუმლოება (პერსონალური მონაცემები) - კანონის თანახმად, პერსონალური მონაცემები არის ინფორმაცია, რომელიც პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა. ასევე, პირად საიდუმლოებას მიეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია პირის ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან და სხვა კერძო საკითხებთან.



ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია თავად გადაწყვიტოს, დაეთანხმოს ან უარი თქვას პერსონალური ინფორმაციის გასაჯაროებაზე. თუმცა, **აღნიშნული არ ვრცელდება თანამდებობის პირებზე,³ აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატებზე** - საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს ინფორმაცია იმ შემთხვევაში, თუ იგი თანამდებობის პირების შესახებ არსებულ მონაცემებს შეიცავს.



კომერციული საიდუმლოება - კომერციული ფასეულობის მქონე გეგმა, ფორმულა, პროცესი, საშუალება ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას.

მარტივად რომ ითქვას, აღნიშნული ტიპის საიდუმლოებას მიეკუთვნებული მონაცემები კომერციული საქმიანობის წარმართველი პირის „ნოუ-ჰაუა“. ამ კატეგორიაში არ შედის ინფორმაცია სახელისა და გვარის შესახებ.

მაგალითი: კომერციულ საიდუმლოებად ვერ ჩაითვლება კონკრეტული იურიდიული პირის დირექტორის ან ხელმძღვანელის სახელი (მაგალითისთვის, სკოლაში არსებული ბუფეტის ხელმძღვანელის სახელი და გვარი).

³ იხილეთ თანამდებობის პირთა ჩამონათვალი დანართში #2 - გვ. 45

კომერციული საიდუმლოება მაშინ არის სახეზე, თუ იგი კერძო სამართლის იურიდიული პირისა და სხვა მეწარმეთა შესახებ არსებულ მონაცემებს შეიცავს. დაუშვებელია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოდ მიჩნევა.

მაგალითი: ქ. თბილისის მერიასა და ერთ-ერთ შპს-ს შორის ქალაქის გამწვანებაზე გაფორმებული ხელშეკრულება არ შეიძლება წარმოადგენდეს კომერციულ საიდუმლოებას.

პროფესიული საიდუმლოება - პროფესიული საიდუმლოება წარმოადგენს მონაცემთა ისეთ სახე, რომელიც პერსონალურ ან კომერციულ საიდუმლოებას შეიცავს და რომელიც პროფესიული საქმიანობის შედეგად გამოვლინდა. პროფესიული საიდუმლოების მატარებელი არ შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანო.



მაგალითები: აღსარების საიდუმლოება, პარლამენტის წევრის, ექიმის, ჟურნალისტის, უფლებადამცველის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით განდობილი ინფორმაცია.

აგრეთვე, პროფესიული ინფორმაცია, რომელიც პირისთვის ცნობილი გახდა კონფიდენციალობის დაცვის პირობით, მის მიერ პროფესიული მოვალეობის შესრულებისას.



სახელმწიფო საიდუმლოება - ამ ტიპის ინფორმაციას წარმოადგენს თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობათა და სახელმწიფო უშიშროების და მართლწესრიგის დაცვის სფეროს მიკუთვნებული საკითხები. მათი გამჟღავნება ან დაკარგვას შეუძლია ზიანი მიაყენოს საქართველოს ან საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებების მონაწილე მხარის სუვერენიტეტს, კონსტიტუციურ წყობილებას.

მაგალითები თავდაცვის სფეროში:

ა) სტრატეგიული და ოპერატიული გეგმები, სამხედრო ოპერაციების მომზადების, ჩატარების ამსახველი დოკუმენტები;

ბ) შეიარაღებული და საბრძოლო ტექნიკის განვითარების მიზნობრივი პროგრამების, სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქციო სამუშაოების ტექნიკისა და თავდაცვითი ტექნოლოგიების შემუშავება.

მაგალითები ეკონომიკის სფეროში:

ა) სამხედრო დანიშნულების სტრატეგიული ნედლეულისა და მასალების მარაგებისა და მიწოდების მოცულობები;

ბ) ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ქვეყნის ინფრასტრუქტურისა და ობიექტების დაცვის სისტემები.

მაგალითები საგარეო ურთიერთობათა სფეროში:

ა) საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა დეტალები, რომელთა წინასწარ გამჟღავნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ინტერესებს;

ბ) უცხო სახელმწიფოებთან სამხედრო, სამეცნიერო-ტექნიკური და სხვა სახის თანამშრომლობის საკითხები, თუ ცნობების გამჟღავნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს საქართველოს ინტერესებს.

მაგალითები დაზვერვის, სახელმწიფო უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში:

ა) სადაზვერვო, კონტრსადაზვერვო და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის გეგმების, ორგანიზების, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საშუალებების, ფორმების, მეთოდებისა და შედეგების, კონკრეტული პროგრამების დაფინანსების შესახებ ინფორმაცია.

ბ) „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად განსაზღვრული სახელმწიფოს უმაღლეს თანამდებობების პირების და ადმინისტრაციული შენობებისა და სამთავრობო რეზიდენციების დაცვის რეჟიმი;

გ) სამთავრობო და სპეციალური კავშირგაბმულობის სისტემა

როგორ შეიძლება მოვითხოვოთ საჯარო ინფორმაცია?

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია როგორც, წერილობითი, ასევე, ელექტრონული სახით.

1.3 საჯარო ინფორმაციის ელექტრონული გამოთხოვნა

ხელისუფლების გამჭვირვალობის უზრუნველყოფისა და ელექტრონული სერვისების განვითარების კუთხით მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო 2013 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედებული საქართველოს მთავრობის 26 აგვისტოს №219 დადგენილება „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“.

აღნიშნული დადგენილება გავრცელდა შემდეგ სამთავრობო დაწესებულებებზე:

ა) საქართველოს მთავრობის კანცელარია;

ბ) საქართველოს სამინისტროები;

გ) საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატები;

დ) სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები;

ე) საქართველოს სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირები;

ვ) საქართველოს მთავრობის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების გასამხედროებული დაწესებულებები.⁴



აღნიშნულმა დადგენილებამ ზემოთხსენებულ საჯარო დაწესებულებებს საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნის წესი განუსაზღვრა. ასევე, მათ დაევალათ


მოითხოვე
საჯარო ინფორმაციას




ელექტრონული განცხადებების რეგისტრაციისა და ავტომატური დადასტურების სისტემის შექმნა. უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის ყველა სამთავრობო დაწესებულებას აღნიშნული ვალდებულება სრულყოფილად არ აქვს შესრულებული.

⁴ აღნიშნული დაწესებულებების უმეტესობის დასახელება იხილეთ დანართში #1.

ზოგადად, დღეისათვის საჯარო ინფორმაციის ელექტრონული მოთხოვნის სამი გზა არსებობს:



1. დაწესებულების ვებ-გვერდი: თუ შეხვალთ რომელიმე ზემოთხსენებული ორგანოს ვებ-გვერდზე, მოძებნით განყოფილებას „მოითხოვე საჯარო ინფორმაცია“, შეიყვანთ თქვენს შესახებ ძირითად ინფორმაციას (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ელ-ფოსტა, ტელეფონი, მისამართი), დაწერთ მოთხოვნის ტექსტს და დაადასტურებთ, თქვენი წერილი შესაბამის დაწესებულებაში ონლაინ გაიგზავნება. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის ყველა სამთავრობო დაწესებულებას აღნიშნული საშუალება



განვითარებული არ აქვს და შესაბამისად, მათ ვებ-გვერდზე საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ფორმა განთავსებული არ არის.

2. მოქალაქის პორტალი MY.GOV.GE - ინფორმაციის ელექტრონული გამოთხოვნის კიდევ ერთი გზა არსებობს:

ID ბარათის წამკითხველით დარეგისტრირდით მოქალაქის პორტალზე MY.GOV.GE. მისი არქონის შემთხვევაში, ეწვიეთ იუსტიციის სახლს, სადაც მოგცემენ შესაბამის პაროლს. მისი მეშვეობით გაივლით ავტორიზაციას პორტალზე.

- შემდეგ მიუთითეთ საჯარო დაწესებულება, თქვენი მოთხოვნა და გააგზავნეთ.
- თქვენს ელ-ფოსტაზე უნდა მიიღოთ დასტურის წერილი.

The screenshot shows the registration page on the MY.GOV.GE portal. At the top, there is a navigation bar with the logo 'my.gov.ge', a search bar, a phone number '2251528 8888', and a user profile icon. Below the navigation bar, there is a breadcrumb trail: 'მოქალაქის პორტალი - ჩემი ელექტრონული მთავრობა' followed by 'მთავარი / პირადი ინფორმაცია / საჯარო ორგანიზაციებთან ელ. კომუნიკაცია'. A horizontal menu contains icons for profile, home, and other services. The main form area is divided into sections: 'კანსელარია' (Cancellaria) with fields for 'უნება' (Name) and 'მიმღების სახელი' (Recipient's name); 'შეყენის დამატება' (Add employee) with fields for 'სათაური' (Title) and 'ტექსტი' (Text); 'გამგზავნი ორგანიზაცია' (Sending organization) with a text field; 'თანდართული დოკუმენტები' (Attached documents) with a 'Choose File' button and 'No file chosen' text; and 'მოკლე აღწერა' (Short description) with a text field. A 'გაგზავნა' (Send) button is at the bottom right.




3. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ელ-ფოსტა - თითოეული საჯარო დაწესებულება ვალდებულია ჰყავდეს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი. იგი დამოუკიდებლად უნდა წყვეტდეს ცალკეული ინფორმაციის გაცემა-გასაჯაროების საკითხს. მისი საკონტაქტო ინფორმაცია (სახელი, გვარი, თანამდებობა, ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტა) მითითებული უნდა იყოს შესაბამისი დაწესებულების ოფიციალურ ელექტრონულ რესურსზე. თქვენ შეგიძლიათ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა გააგზავნოთ

ხსენებული საჯარო მოხელის ელ-ფოსტაზე.

შენიშვნა: დიდი მნიშვნელობა აქვს მოთხოვნის სწორად, გარკვევით და დეტალურად ჩამოყალიბებას. მაგ. თუ გაინტერესებთ თავდაცვის მინისტრის ანაზღაურება, უნდა დააკონკრეტოთ, რომელი პერიოდის განმავლობაში (მაგ. 2011 წლის I-II კვარტალი ან 2012 წლის ივნისი), ამ პერიოდში ჯამური რაოდენობის მიღება გასურთ, თუ ცალ-ცალკე; მხოლოდ კანონით განსაზღვრული ხელფასი გაინტერესებთ, თუ ხელფასისა და პრემიის ოდენობა (ერთად ან ცალ-ცალკე).

მოთხოვნის არაზუსტი ფორმულირება ხშირად საშუალებას უტოვებს ადმინისტრაციულ ორგანოს, თავი აარიდოს ამომწურავი პასუხის გაცემას და შემოიფარგლოს ზოგადი პასუხით. საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს ზუსტად ის, რაც წერია თქვენს მოთხოვნაში - თუ რაიმე მოთხოვნაში დაკონკრეტებული არ არის, ვერ გექნებათ პრეტენზია, თუ რატომ არ მიიღეთ ეს ინფორმაცია.



წერილში აუცილებელი არ არის აღნიშნოთ თქვენი მოთხოვნის მიზანი.

უფლება გაქვთ აირჩიოთ საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა (ელექტრონული, დოკუმენტის ასლი, ადგილზე გაცნობა).

1.4 საჯარო ინფორმაციის მიღება

საჯარო დაწესებულება ვალდებულია, გასცეს საჯარო ინფორმაცია **დაუყოვნებლივ**. იქიდან გამომდინარე, რომ კანონით არ არის განმარტებული დაუყოვნებლივ გაცემის ცნება, ასეთად უნდა ჩაითვალოს გონივრული ვადები - იმავე დღეს, ან თქვენი განცხადების რეგისტრაციიდან მეორე დღეს.⁵

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც საჯარო დაწესებულებას უფლება აქვს, საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის მოითხოვოს 10 დღიანი ვადა. ასეთი შემთხვევა **სულ სამია**:



თუ საჯარო ინფორმაციის გაცემა საჭიროებს საჯარო დაწესებულისგან სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას;



თუ საჯარო ინფორმაციის გაცემა საჭიროებს მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას;



ან თუ საჯარო ინფორმაციის გაცემა საჭიროებს სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.

◊ იმ შემთხვევაში, თუ საჯარო დაწესებულებას ესაჭიროება 10 დღიანი ვადის გამოყენება, ის **ვალდებულია**, ამის შესახებ **დაუყოვნებლივ გაცნობოთ** (სამწუხაროდ, პრაქტიკაში ეს წესი ხშირად ირღვევა, და არ არსებობს დარღვევის შემთხვევაში მოქმედი სანქცია).

◊ ინფორმაციის ელექტრონულად მიღების არჩევის შემთხვევაში, **მოთხოვნილი ინფორმაცია ელ-ფოსტაზე გამოგეგზავნებათ**.

⁵წიკვპლაძე ნ., ადგიშვილი ზ., ფროსტი ა., რამიშვილი ლ., ქიტომვილი დ., ტულუში ლ., წოწორია ნ., გეწაძე გ., კოპალეიშვილი მ., ინფორმაციის თავისუფლება, გზამკვლევი, მესამე გამოცემა, 2005, ციტირებულია: ჯორბენაძე, ს., ინფორმაციის თავისუფლება - გზამკვლევი, 2012, 47.

2. საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება და მისი მონიტორინგი

2.1 რა არის პროაქტიული გამოქვეყნება?

საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება ნიშნავს, საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი ნებით, მისივე ოფიციალურ ვებ-გვერდზე ცალკეული ინფორმაციის გასაჯაროებას. შედეგად, მოქალაქეს არ სჭირდება ამ ინფორმაციის მოთხოვნა, რადგან იგი უკვე დევს ონლაინ და ხელმისაწვდომია ყველასთვის.

2.2 საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების სტანდარტი საქართველოში

საქართველოს მთავრობის ზემოთხსენებული დადგენილებით (26 აგვისტოს №219 დადგენილება „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“) კონკრეტულ სამთავრობო დაწესებულებებს დაევალებათ უზრუნველყონ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება საკუთარ ელექტრონულ რესურსებზე (ვებ-გვერდებზე).



ამგვარად, შესაბამის უწყებებს ევალებათ თავადვე გამოაქვეყნონ ისეთი მნიშვნელოვანი მონაცემები, როგორცაა ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურის, ფუნქციების, სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის, ხელმძღვანელებისა და მოადგილეების ბიოგრაფიული ცნობების, სტრატეგიების, სამოქმედო გეგმების, დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტის, შესყიდვების შესახებ. ასევე, ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაწესებულებაში გამოცხადებული ვაკანტური პოზიციების ჩამონათვალი, კონკურსის შედეგები,

გასაჩივრების წესი და პროცედურა, დასაქმებულ პირთა ოდენობა თანამდებობების მიხედვით და სხვა.

უფრო დეტალურად, გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა შეიცავს შემდეგი ტიპის მონაცემებს:

1. ზოგადი ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ

- სტრუქტურა და ფუნქციების აღწერა;
- ადმინისტრაციული ორგანოსა და მისი სტრუქტურული ერთეულების/ტერიტორიული ორგანოების საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები (დებულება/წესდება, შინაგანაწესი);
- საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიში;
- შემუშავებული სტრატეგიები, კონცეფციები და სამოქმედო გეგმები;
- ხელმძღვანელის, მოადგილეების, სტრუქტურული ერთეულების/ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელების (საჯარო სამართლის იურიდიული პირების შემთხვევაში – მათი ხელმძღვანელებისა და მოადგილეების) შესახებ ინფორმაცია: სახელი, გვარი, ფოტოსურათი, ბიოგრაფიული მონაცემები;
- ადმინისტრაციული ორგანოსა და მისი სტრუქტურული ერთეულების/ტერიტორიული ორგანოების მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ფაქსის ნომერი, ცხელი ხაზის ნომერი.



2. საჯარო ინფორმაციის გვერდი

- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის (პირების) სახელი, გვარი, თანამდებობა, სამსახურის ელექტრონული ფოსტა, სამსახურის ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;
- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები;
- ადმინისტრაციული ორგანოს საჩივრის ფორმები/ნიმუშები და ინფორმაცია გასაჩივრების წესის შესახებ;
- საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისათვის წარდგენილი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 49-ე მუხლით გათვალისწინებული ყოველწლიური ანგარიში
- „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად განცხადებების შესახებ ზოგადი სტატისტიკა.



3. ინფორმაცია საკადრო უზრუნველყოფის შესახებ

- გამოცხადებული ვაკანტური პოზიციების ჩამონათვალი, კონკურსის შედეგები (მხოლოდ კონკურსში გამარჯვებულ პირთა ვინაობა), კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი და პროცედურა;
- ნორმატიული აქტები, რომლებიც განსაზღვრავს კონკურსის ჩატარების წესებს;
- დასაქმებულ პირთა ოდენობა კატეგორიების მითითებით, აგრეთვე გენდერულ ჭრილში;



4. ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების და სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ



- სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა;
- სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის ფარგლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაცია მიმწოდებლის, შესყიდვის ობიექტის, შესყიდვის საშუალების, ხელშეკრულების ღირებულებისა და გადარიცხული თანხების მითითებით;
- ინფორმაცია სახელმწიფო ქონების გასხვისებისა და სარგებლობაში გადაცემის შესახებ;
- რეკლამის განთავსებაზე გაწეული ხარჯები.

5. ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს დაფინანსებისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ

- დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტები;
- ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია (ნაზარდი ჯამით);
- ინფორმაცია გაცემული სარგოს, დანამატებისა და პრემიების კვარტალური ოდენობების შესახებ თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად);
- ინფორმაცია ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად) (ცალ-ცალკე ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ განხორციელებული მივლინებების მიხედვით);
- ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი მოდელის მითითებით;

- ინფორმაცია საწვავის მოხმარებაზე გაწეული ხარჯის შესახებ ჯამურად;
- ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია ჯამურად;
- ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების ჩამონათვალი;
- ინფორმაცია განხორციელებულ სატელეფონო საუბრებზე (საერთაშორისო და ადგილობრივი ზარები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ჯამურად;
- უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები, კრედიტები) შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული გრანტების შესახებ, მათ შორის გრანტის მიმღები, მიზნობრიობა, გრანტის მოცულობა და გადარიცხული ოდენობა;
- „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით“ გათვალისწინებული ფონდებიდან ადმინისტრაციული ორგანოსათვის გამოყოფილი თანხების შესახებ ინფორმაცია;
- სამართლებრივი აქტები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ფონდებიდან ადმინისტრაციული ორგანოსათვის გამოყოფილი თანხების შესახებ;



6. სამართლებრივი აქტები

- ნორმატიული აქტები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობასთან;
- ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები, რომლებიც, ადმინისტრაციული ორგანოს შეფასებით, საზოგადოებრივი ინტერესის შემცველია.



7. სხვა საჯარო ინფორმაცია

- ადმინისტრაციული ორგანოს სერვისების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია იმ მოსაკრებლების, ტარიფებისა და საფასურების შესახებ, რომლებიც დადგენილია ან/და რომელთა გადახდევინებაც ხდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.



შეგიძლიათ დაათვალიეროთ საჯარო დაწესებულებების გვერდები და დააკვირდეთ, რამდენად ასრულებენ ისინი აღებულ ვალდებულებას და რამდენად დროულად და სრულყოფილად აქვეყნებენ ზემოთჩამოთვლილ ინფორმაციას.

3. საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდების მონიტორინგი

საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდებზე პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის მონიტორინგთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანია მათზე იმ სერვისებისა და აპლიკაციების არსებობის შემოწმება, რომელთა მთავარი ამოცანა მოქალაქეების პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის მაღალი მაჩვენებლების უზრუნველყოფაა.

ოფიციალურ ვებ-რესურსებზე ელექტრონული მმართველობისა და მონაწილეობისთვის საჭირო მექანიზმების განვითარების დონის შეფასებისას **სამ ძირითად ფაქტორს ექცევა ყურადღება:**

| | |
|--|---|
| <p>ელ-ინფორმაცია /კომუნიკაცია</p> | <ul style="list-style-type: none"> • გულისხმობს თუ რამდენად შეუძლია საჯარო დაწესებულებას ვებ-გვერდის საშუალებით მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია მისი ძირითადი საქმიანობისა და აქტივობების შესახებ; • ელ-ინფორმაცია ძირითადად ცალმხრივ კომუნიკაციაზეა აგებული, და უმეტესწილად, მთავრობის ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას ამოწმებს. |
| <p>ელ-კონსულტაცია</p> | <ul style="list-style-type: none"> • ზომავს იმას თუ რა საშუალებებს იყენებს მთავრობა მოქალაქეებთან ორმხრივი ინტერაქციის საწარმოებლად, რამდენად მზად არის მათგან უკუკავშირის მისაღებად; • აჩვენებს რამდენად ცდილობს მთავრობა საჯარო კონსულტაციების ჩატარებას ცალკეული პოლიტიკური საკითხების შესახებ. |
| <p>ელ-გადაწყვეტილება</p> | <ul style="list-style-type: none"> • ორმხრივი ურთიერთობის უფრო მაღალი დონეა; • ამოწმებს, თუ რამდენად სთავაზობს მთავრობა მოქალაქეს ელექტრონულ პლატფორმებს ან სადისკუსიო საშუალებებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობისთვის. |

ვებ-გვერდების მონიტორინგისას ელ-კომუნიკაციის კოეფიციენტის გამოსათვლელად შეგიძლიათ შეამოწმოთ შემდეგი სერვისების არსებობა ცალკეული სახელმწიფო დაწესებულების ვებ-გვერდზე:



ღია მონაცემები (Open Data) რომელიც მომხმარებელს უზრუნველყოფს უწყებების დოკუმენტებით, ანგარიშებით და სხვადასხვა ტიპის ღია მონაცემებით;



სპეციალური განყოფილება ვებ-გვერდზე, რომელიც დაეთმობა და უზრუნველყოფს სერვისების/ინფორმაციის ხელმისაწვდომობას სხვადასხვა დაუცველი, მარგინალიზებული ჯგუფისთვის (უსინათლო, სმენადაქვეითებული მოქალაქეები);



გვერდების უცხო ენებზე არსებობა (ინგლისური, რუსული);



დაგეგმილი ღონისძიებების კალენდარი, სადაც მოცემულია ინფორმაცია შემდეგი თვის განმავლობაში დაგეგმილი შეხვედრების, კონფერენციების, საჯარო განხილვების, კონსულტაციების შესახებ სხვადასხვა ჯგუფებთან (მათ შორის, მოსახლეობასთან, მედიასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან);




„კონტაქტის“ განყოფილების ცალკე არსებობა, სადაც დეტალურად არის მოცემული საჯარო დაწესებულების მისამართი (ინტერაქტიული რუკის თანხლებით), საკონტაქტო პირი, ტელეფონი, ფაქსი, ელ-ფოსტა, სკაიპი;



სიახლეების გამოწერის შესაძლებლობა სხვადასხვა გზით (RSS, ელ-ფოსტა, SMS შეტყობინება).

ქვემოთ მოცემული გრაფიკი აჩვენებს, რამდენად აკმაყოფილებდა რამდენიმე საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდი ელ-ჩართულობის კომპონენტებს ელ-კომუნიკაციის პარამეტრების თვალსაზრისით, 2012-2013 წლებში IDFI-ის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგების მიხედვით:



ვებ-გვერდების ელ-კონსულტაციის კოეფიციენტის გამოსათვლელად შეგიძლიათ შემოწმოთ შემდეგი სერვისების არსებობა:



მოქალაქეების აზრის მიღების მარტივი ფორმები (Feedback) - ამ ფორმის მეშვეობით მომხმარებელი აფიქსირებს თავის შენიშვნებსა და კომენტარებს ვებ-გვერდის, რომელიმე კონკრეტული აპლიკაციისა თუ სერვისის შესახებ, რომელიც ხარვეზების გამოსწორების და სერვისის გაუმჯობესების მიზნით იქნება გამოყენებული;



ონლაინ მომსახურების გაუმჯობესების მიზნით კვლევა/გამოკითხვა - იგულისხმება მარტივი კითხვარების გაკეთება და არა კომპლექსური კვლევა. ამ ტიპის კითხვარის არსებობა მიუთითებს, რომ უწყება მუშაობს ელ-ჩართულობის სტრატეგიის გაუმჯობესებასა და ვებ-გვერდზე მოქალაქეებისთვის კომფორტული გარემოს შექმნაზე;



ბლოგი - მისი მთავარი დანიშნულებაა საჯარო დაწესებულების ოფიციალურმა პირებმა საჯაროდ დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრებები სხვადასხვა მნიშვნელოვან და პრობლემურ საკითხებზე, რათა ვებ-გვერდს მხოლოდ ინფორმაციის გავრცელების ფუნქცია არ ჰქონდეს და სადისკუსიო პლატფორმის როლიც შეითავსოს;



სოციალურ ქსელებთან ინტეგრაცია (Facebook, Twitter, WordPress, YouTube არხი) - ამით კიდევ უფრო იზრდება ვებ-გვერდის მომხმარებელთა აუდიტორია;



სოციალურ ქსელებზე გვერდიდან სიახლის გაზიარება - ამით მომხმარებლისთვის გაადვილებულია ახალი ამბების სხვებთან გაზიარება და შემდგომი დისკუსიის წახალისება;



უწყების გვერდის მოწონების ფუნქცია **Facebook „Like“** ღილაკის მეშვეობით;



მომხმარებლის სივრცე ვებ-გვერდზე (დარეგისტრირების/ავტორიზაციის შესაძლებლობა) - ამ სერვისის მეშვეობით, მომხმარებლისთვის უფრო იოლი და ხელმისაწვდომია ონლაინ სერვისის მიღება, რადგან ყველა მომსახურება, რასაც ვებ-გვერდი სთავაზობს, ერთ გვერდზეა თავმოყრილი;



გვერდზე გამოქვეყნებული სიახლის ქვეშ **კომენტარის დატოვების შესაძლებლობა** - საჯარო უწყების ღიაობის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია და მიუთითებს დაწესებულების მზაობაზე, მიიღოს მოქალაქეების შენიშვნები, კომენტარები და რეკომენდაციები;



FAQ ან კითხვა-პასუხის რუბრიკის არსებობა - მომხმარებლისთვის მოცემულია პასუხები ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე;




შეტყობინების გაგზავნის და ონლაინ დახმარების ფუნქცია - სერვისის ეფექტური ფუნქციონირების შემთხვევაში, მომხმარებელი მისი დახმარებით მარტივად და დროის მცირე მონაკვეთში იღებს სასურველ ინფორმაციას;



ონლაინ კონსულტაცია - აღნიშნული სერვისის მეშვეობით, სახელმწიფო დაწესებულებების წარმომადგენლები მოქალაქეებისგან წინადადებებსა და შეთავაზებებს ონლაინ იღებენ.

როგორც 2012-2013 წლებში ვებ-გვერდების დაკვირვებისას გამოვლინდა, საჯარო დაწესებულებები საკუთარ ვებ-გვერდებზე ძირითადად თავიანთი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებით შემოიფარგლებოდნენ და ნაკლებ აქცენტს აკეთებდნენ ჩატარებული აქტივობების შესახებ მოსახლეობის აზრის გაგებაზე, მათგან უკუკავშირის

მიღებაზე. ამიტომაც, სამთავრობო ვებ-გვერდებმა ელ-კონსულტაციის კომპონენტში ელ-კომუნიკაციასთან შედარებით დაბალი შედეგები აჩვენეს.



მაგალითი: 2012-2013 წლებში ელ-კონსულტაციის წარმატებული მაგალითების სიაში შედიოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. მონიტორინგის პერიოდში შსს-ს ვებ-გვერდზე დაემატა „ხშირად დასმული კითხვების“ განყოფილება, სადაც მომხმარებელი გაეცნობა პასუხებს სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე. აქვე, შესაძლებელია ცალკეული კითხვების დასმაც. როგორც სურათზეა მოცემული, უწყება მომხმარებელს სთავაზობს ინფორმაციას მის კომპეტენციაში შემავალ სხვადასხვა საკითხებზე: დასაქმება, ადმინისტრაციული სამართალდარღვევები, დაცვის პოლიცია, მოქალაქის უფლებები, მომსახურება და .შ. დილაკი „დასვი კითხვა“ ამღევს

სხვადასხვა საკითხებზე: დასაქმება, ადმინისტრაციული სამართალდარღვევები, დაცვის პოლიცია, მოქალაქის უფლებები, მომსახურება და .შ. დილაკი „დასვი კითხვა“ ამღევს

მოქალაქეს მისთვის საჭირო კონკრეტულ საკითხზე ამომწურავი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას.

თქვენი მონიტორინგის პერიოდში შეგიძლიათ შეამოწმოთ რამდენად ოპერატიულად პასუხობს გვერდის ადმინისტრაცია მიღებულ კითხვებს, ასევე, შეგიძლიათ გამოითხოვოთ ამ სერვისის მოხმარების ტენდენციების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია.

ელ-გადაწყვეტილების კატეგორიაში შემდეგი სერვისების არსებობაა გათვალისწინებული:



გადაწყვეტილებების, რეგულაციების მონახაზების ხელმისაწვდომობა, რომლებზეც მიმდინარეობს მუშაობა - ეს დოკუმენტები ვებ-გვერდზე განთავსებული და მომხმარებელს შეუძლია მათი ჩამოტვირთვა. უფრო მეტიც, გაცნობის შემდეგ მოქალაქეებს საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირების საშუალება აქვს;



ფორუმი, სადაც მიმდინარეობს სხვადასხვა გადაწყვეტილებების განხილვა;



მომხმარებლების მიერ დასმულ შეკითხვაზე ოფიციალური პირის გამოხმაურება - რამდენად ხშირად იღებს მომხმარებელი გამოხმაურებას საჯარო დაწესებულების წარმომადგენლებისგან;



პეტიციები - აღნიშნული სერვისი ნებისმიერ მოქალაქეს ანიჭებს შესაძლებლობას, საკუთარი იდეა აქციოს კანონად ან მინიმუმ მიაღწიოს ცალკეული პოლიტიკის ცვლილებას, საკმარისი ხელმოწერის დაგროვების შემთხვევაში;




მომხმარებლის მიერ გაგზავნილი Feedback-ის მიღების დადასტურება;



ონლაინ კენჭისყრა (E-voting) - ეს მომსახურება გამოკითხვისგან იმით განსხვავდება, რომ ანონიმური არ არის და ელ-ფოსტით დარეგისტრირებული პირები იღებენ მონაწილეობას. თუკი გამოკითხვა ზოგადი საზოგადოებრივი აზრის გაცნობას ემსახურება, კენჭისყრის საშუალებით შეიძლება კონკრეტული საკითხების გადაწყვეტა.

2012-2013 წლებში ელ-კომუნიკაციის სამი კომპონენტიდან ყველაზე დაბალი მაჩვენებელი საქართველოს საჯარო უწყებების ვებ-გვერდებზე ელ-გადაწყვეტილების მიღებაში აიღეს. აქედან ჩანს, რომ სამინისტროებისთვის მთავარი გამოწვევაა იმგვარი თანამედროვე ტექნოლოგიების მექანიზმების განვითარება, რაც პოლიტიკურ დისკუსიებსა და დაგეგმვის

პროცესში მოქალაქეთა ჩართულობას უზრუნველყოფს, ასევე, მოაწყონ ონლაინ კონსულტაციები მიმდინარე სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებისას და მოისმინონ მოსახლეობის პოზიციები ინტერაქციული სერვისების მეშეობით.



მაგალითი. 2012-2013 წლების მონიტორინგისას დაფიქსირდა ელ-გადაწყვეტილების მიღებაში მოქალაქეებისთვის მოსახერხებელი პლატფორმის შემქნის რამდენიმე მაგალითი. იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდი, რომელსაც ელექტრონული ჩართულობის მხრივ ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა, შესაძლებლობას აძლევდა მოქალაქეს ონლაინ ჩატის მეშეობით მიელო ინფორმაცია მისთვის საინტერესო საკითხების შესახებ, ასევე ჩატის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მომხმარებელს რამდენიმე შეკითხვიან გამოკითხვასაც სთავაზობდა.

გთხოვთ, მიიღოთ გამოკითხვაში მონაწილეობა

როგორ შეფასებდით ონლაინ ჩატის არსებობას?


- სრულიად დადებითად
- დადებითად
- უარყოფითად
- სრულიად უარყოფითად

როგორ შეფასებდით ონლაინ ჩატის ოპერატორის მომსახურებას შემდეგი პარამეტრებით:

| | | |
|--|--|--|
| <input type="radio"/> კომპეტენცია | <input type="radio"/> კეთილგანწყობა | <input type="radio"/> ოპერატიულობა |
| <input type="radio"/> სრულიად დადებითად | <input type="radio"/> სრულიად დადებითად | <input type="radio"/> სრულიად დადებითად |
| <input type="radio"/> დადებითად | <input type="radio"/> დადებითად | <input type="radio"/> დადებითად |
| <input type="radio"/> უარყოფითად | <input type="radio"/> უარყოფითად | <input type="radio"/> უარყოფითად |
| <input type="radio"/> სრულიად უარყოფითად | <input type="radio"/> სრულიად უარყოფითად | <input type="radio"/> სრულიად უარყოფითად |

მალიან საინტერესოა აღმოჩნდა, ასევე, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ვებ-

გვერდის ერთ-ერთი აპლიკაცია - ყველა ახალგაზრდული სერვისი ერთ სივრცეში. საძიებო სისტემა მოქალაქეს ეხმარება მისთვის სასურველი კატეგორიის სერვისი საკუთარ ქალაქში მიიღოს. ეს არის მისასაღმებელი ინიციატივა, რადგან ახალგაზრდებს მათთვის საინტერესო სერვისების მოძიებას უადვილებს. განყოფილება „ჩვენ შესახებ“ მოქალაქეს აწვდის მოკლე ინფორმაციას, თუ რას ემსახურება



ამ გვერდის არსებობა და მოუწოდებს მათ უკუკავშირის საშუალებით მიწერონ საკუთარი მოსაზრებები. აქვე, ხელმისაწვდომია ბმული, რომელიც ვრცლად აცნობს მომხმარებელს ინფორმაციას ამ ინიციატივის შესახებ. აღნიშნული სერვისი დღესაც ფუნქციონირებს.

თქვენ შეგიძლიათ ზემოჩამოთვლილი კომპონენტების არსებობა შეამოწმოთ ნებისმიერი საჯარო დაწესებულების, ყველაზე მეტად კი სამთავრობო უწყებების ოფიციალურ ვებ-პორტალებზე. თითოეული ტიპის ელ-სერვისის არსებობის შემოწმების შემდეგ, შესაძლებლობა გექნებათ შეადაროთ სხვადასხვა ინსტიტუტის მიერ ელ-მმართველობის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისობის დონე.

4. სოციალურ ქსელებში საჯარო დაწესებულებების გვერდების მონიტორინგი

სახელმძღვანელოს ამ ნაწილში განვიხილავთ სოციალურ ქსელებში (მაგ. Facebook) სახელისუფლებო ოფიციალურ გვერდებზე დაკვირვების სხვადასხვა მეთოდებსა და მიდგომებს.

აღნიშნული მეთოდოლოგია IDFI-ის ჯგუფმა 2012 წელს შეიმუშავა პროექტის - „ელექტრონული ჩართულობის განვითარება საქართველოში“ - ფარგლებში. იგი მოიცავს სხვადასხვა მეთოდებს ოფიციალურ სახელმწიფო ვებ-გვერდებსა და სოციალურ ქსელებში გახსნილ ანგარიშებზე მოქალაქეებსა და ცალკეულ საჯარო ინსტიტუტებს შორის კომუნიკაციის დონის გასაზომად და თავისებურებების გასაანალიზებლად.



სოციალურ ქსელ Facebook-ის მნიშვნელობა და როლი თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო მეტად თვალსაჩინო ხდება. Facebook-ით ნებისმიერი სახის ინფორმაციის გავრცელება შესაძლებელი სწრაფად, თანაც უსასყიდლოდ, ამიტომ მისი როლი ქართული საზოგადოების ცხოვრებაში მნიშვნელოვნად იზრდება. რამდენიმე წელია Facebook ქართულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც საკმაოდ საგულისხმო როლს თამაშობს. სოციალური ქსელით საარჩევნო კამპანიების წარმოება პოლიტიკური პარტიებისა და ლიდერებისთვის უკვე დამკვიდრებული ტენდენციაა.⁶

გარდა ამისა, საჯარო დაწესებულებების უმრავლესობას შექმნილი აქვს საკუთარი ოფიციალური გვერდი აღნიშნულ ქსელში, სადაც სისტემატურად იდება ინფორმაცია განხორციელებული პროექტების შესახებ და მოქალაქეებს შეუძლიათ საკუთარი მოსაზრებები დააფიქსირონ სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით.



ცალკეული ცნობების გავრცელებასთან ერთად, ზოგიერთი დაწესებულება ქმნის საინტერესო აპლიკაციებს მოქალაქეების მეტი ჩართულობისთვის. მაგალითად, საქართველოს მთავრობის Facebook გვერდზე ხშირად იდება ვიზუალიზებული მონაცემები და ვიდეოები, პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ოფიციალურ Facebook გვერდზე შექმნილია ფორუმის აპლიკაცია „ახალი თაობის იდეა პრემიერს“⁷ და ა.შ. მსგავსი ტიპის შესაძლებლობების შექმნა თავისთავად დადებითი ფაქტია, თუმცა არანაკლებ

⁶ ჩუხუა ს. თოლორდავა ს. კეჭაყმაძე მ. (2012) საჯარო დაწესებულებების Facebook გვერდების ანალიზი იანვარ-აპრილის მონიტორინგის შედეგები. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი


⁷ <https://apps.facebook.com/pmgeoforum/>

მნიშვნელოვანია რამდენად ეფექტურად ხდება მათი გამოყენება მოქალაქეებთან პირდაპირი დიალოგის საწარმოებლად. ამის დადგენა თანმიმდევრული დაკვირვებითაა შესაძლებელი.

სოციალური ქსელის, Facebook-ის ფუნქციებიდან გამომდინარე, მის პლატფორმაზე სხვადასხვა მხარეებს შორის დამყარებული ინტერაქციის დაკვირვების შემდეგი გზები არსებობს:

4.1 FACEBOOK გვერდის პოპულარობა

ამ კომპონენტში იგულისხმება გვერდის მიერ მოპოვებული მოწონებების რაოდენობა; კერძოდ, გაიზარდა თუ იკლო გვერდის გამომწერთა რაოდენობამ თქვენი დაკვირვების პერიოდში. გვერდის გამომწერთა რაოდენობის მატება/კლება რიგ შემთხვევაში შეიძლება დამოკიდებული იყოს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე, ხელისუფლების ცვლილებებზე, გაკეთებულ განცხადებებზე, ცალკეული ლიდერისა და ინსტიტუტის რეიტინგზე/ნდობის ხარისხზე და ა.შ.



მაგალითი: საინტერესო შემთხვევა დაფიქსირდა ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის გვერდთან დაკავშირებით 2012 წლის 19-20 სექტემბერს. ერთ დღეში ხსენებულ სოციალურ ქსელში მისი ოფიციალური გვერდის მომწონებელთა რიცხვმა დაახლოებით 2500-ზე მეტი მომხმარებელით იკლო. უნდა აღინიშნოს, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციის გვერდი ე.წ „დამლაიქებელთა“ რაოდენობის ზრდით მანამდე მუდამ გამოირჩეოდა. წინა სამი თვის მანძილზე გვერდის ადმინისტრატორის მიერ განთავსებული ინფორმაციის გამომწერთა რიცხვი საშუალოდ 480-ით იზრდებოდა. გამონაკლისი იყო ზოგიერთი დღე, როცა „დამლაიქებელთა“ რიცხვი 200-400-ით კლებულობდა.⁸




⁸ ტურაშვილი თ. (2012) [პრეზიდენტის Facebook გვერდი ერთ დღეში დაახლოებით 2500-მა ადამიანმა დაატლვა](#). ბლოგი - ელექტრონული ჩართულობა საქართველოში. იხ.: [პრეზიდენტის FB გვერდი](#) (ბოლოს ნანახია 26.08.2014)

ცალკეული გვერდების რეიტინგის დადგენის კიდევ ერთი საშუალება ე.წ. „Talking about“ („საუბრობს“) ფუნქციაა. აღნიშნულ განყოფილებაში მოცემული რიცხვების დაკვირვება შესაძლებლობას მოგცემთ გაიგოთ თუ რამდენად ხშირად იხსენიებს სოციალური ქსელის მომხმარებელი რომელიმე კონკრეტულ გვერდს საკუთარ გვერდზე ინფორმაციის გაზიარებისას ან რამდენად ხშირად აზიარებს ინფორმაციას ამ გვერდიდან.




ზოგადად, გვერდის მომხმარებლების შესახებ ძირითადი ცნობების (მომხმარებელთა სტატისტიკის ცვლილება ბოლო პერიოდში, მათი ძირითადი ასაკობრივი ჯგუფი) შეგიძლიათ ნახოთ განყოფილებაში „Likes (People)“.



4.2 FACEBOOK გვერდის ღიაობა



ამ კომპონენტის ინდიკატორად განისაზღვრება ის, თუ რამდენად შეუძლიათ მოქალაქეებს კომენტარის დაწერა ცალკეულ Facebook გვერდზე და ასევე, შეუძლიათ თუ არა მისი მეშვეობით საკუთარი მოსაზრების მიწოდება პოლიტიკოსებისა და საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლებისთვის. სამთავრობო უწყებების Facebook გვერდზე გადასვლისას შეგიძლიათ შეამოწმოთ აქვს თუ არა გვერდს კედელზე პოსტის გაზიარების ან მოცემულ ბმულზე თუ სურათზე კომენტარის დაწერის ფუნქცია ჩართული/გამორთული. იმ შემთხვევაში, თუ ფუნქცია გამორთულია, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უწყება არ არის ღია მოქალაქეთა მხრიდან გამოთქმული შეკითხვის თუ შენიშვნის მიმართ.



მაგალითი: წინასაარჩევნო პერიოდში (იგულისხმება 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები) IDFI-მ დაათვალიერა არჩევნებში ჩართული პოლიტიკური სუბიექტების Facebook ანგარიშები და აღმოაჩინა, რომ კედელი გახსნილი ჰქონდა ხუთ პოლიტიკურ ძალას - „რესპუბლიკურ პარტიას“, „ჩვენი საქართველო, თავისუფალ დემოკრატიებს“, კოალიცია „ქართულ ოცნებას“, „ლეიბორისტულ პარტიას“ და „ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიას“, ბიძინა ივანიშვილის, შალვა ნათელაშვილისა და გიორგი თარგამაძის გვერდების სახით, რაც მიანიშნებდა მათი მხრიდან მოქალაქეების მიერ გამოხატული მოსაზრებებისადმი გახსნილობაზე. თუმცა, ექვსი პოლიტიკური სუბიექტის გვერდი დახურული იყო და მომხმარებლებს არ შეეძლოთ საკუთარი მოსაზრებების ღიად დაფიქსირება.⁹

4.3 უკუკავშირის დონის შეფასება

ეს პარამეტრი მთავრობის ღიაობის და მოსახლეობის კომენტარის, შეკითხვისა თუ რეკომენდაციისადმი მისი მიმღებლობის გაზომვის კიდევ ერთი საშუალებაა. უშუალო ინტერაქციისთვის მზაობის მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს არა მხოლოდ Facebook გვერდზე პირადი შეტყობინების (Message) ველის გახსნა და მოქალაქეებისთვის წერილების გაგზავნის



⁹ ტურაშვილი თ., ჩუხუა ს. თოლორდავა თ., კეჭაყმაძე მ. (2012) ელექტრონული ჩართულობის განვითარება საქართველოში. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

შესაძლებლობის მიცემა, არამედ მათ **წერილებზე გამოხმაურება**. ეს მეთოდი ამოწმებს იმას, რამდენად პასუხობს საჯარო დაწესებულების ოფიციალური Facebook გვერდის ადმინისტრატორი პირადი წერილის სახით შემოსულ შეტყობინებებს.

ამის შესამოწმებლად, თავადაც შეგიძლიათ **გააგზავნოთ სატესტო კითხვა თქვენი ან სპეციალურად მონიტორინგისთვის შექმნილი ანგარიშიდან** გვერდის მფლობელებთან. საჯარო დაწესებულებების შემთხვევაში სასურველია კითხვა ეხებოდეს მის საქმიანობას. მაგალითად, შეიძლება იკითხოთ დამატებითი დეტალები ცალკეული სამინისტროს მიერ ჩატარებული ღონისძიების შესახებ, ასევე, შეგიძლიათ დაადგინოთ მოქალაქეების მიღების საათების ზუსტი დრო, ან უბრალოდ მიმართოთ რეკომენდაციით, ნებისმიერი კონსტრუქციული კითხვითა თუ შენიშვნით.


აუცილებელია, **აწარმოთ გაგზავნილი კითხვების რეესტრი** - ექსელის ფორმაში ჩაინიშნოთ კითხვის გაგზავნის დრო, კითხვის შინაარსი, ადრესატი საჯარო დაწესებულების დასახელება. ამავდროულად, თითოეული კითხვის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია პერიოდულად აღნიშნოთ, როდის მოგივიდათ პასუხი, რამდენად კონსტრუქციული და ამომწურავი იყო მიღებული პასუხი.



მაგალითი:

IDFI-ის მიერ 2012-2013 წლებში ჩატარებული ცენტრალური საჯარო დაწესებულებების Facebook გვერდების მონიტორინგის პერიოდში ყველა იმ გვერდის ადმინისტრატორს, რომელსაც შეტყობინების გაგზავნის ფუნქცია გააქტიურებული ჰქონდა, პროექტის გუნდმა 50 შეკითხვა გაუგზავნა სხვადასხვა Facebook ანგარიშებიდან. ამ ექსპერიმენტის მიზანი იყო აღრიცხულიყო, რამდენი უწყება პასუხობს მოქალაქეების შეკითხვებს და რამდენად სრულყოფილად. მოცემული გრაფიკი აღრიცხავს ექსპერიმენტის შედეგს, რომლის მიხედვითაც საუკეთესო შედეგი ჰქონდათ ეკონომიკისა და გარემოს დაცვის სამინისტროებს:





მაგალითი: 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში შერჩეული თერთმეტი პოლიტიკური სუბიექტიდან ყველა მათგანისთვის შესაძლებელი იყო Facebook შეტყობინებების გაგზავნა. ამ ფუნქციის ეფექტურად გამოყენების შესამოწმებლად ყველა პოლიტიკურ პარტიას კვლევის ფარგლებში სხვადასხვა დროს გაეგზავნა ოთხი სატესტო შეკითხვა:


1. როდის გამოაქვეყნებთ თქვენს ოფიციალურ საარჩევნო პროგრამას და სად იქნება შესაძლებელი მისი ნახვა და გაცნობა? – კითხვა გაეგზავნათ საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე.
2. ვინ არის თქვენი პარტიის ნამდალადევის დეპუტატობის კანდიდატი არჩევნებზე?
3. სად შეიძლება ვნახო თქვენ მიერ ცესკოსთვის წარდგენილი მთლიანი სია?
4. ხომ ვერ მეტყვიტ საგარეო პოლიტიკაში თქვენი პარტიის პოლიტიკურ სტრატეგიას ან ხომ არ შეგიძლიათ მიმითითოთ სად შეიძლება ამაზე ინფორმაციის ნახვა?

აღმოჩნდა, რომ ოთხივე კითხვაზე მხოლოდ ორმა სუბიექტმა უპასუხა. ყველაზე კარგი შედეგი ამ მხრივ „ახალმა მემარჯვენეებმა“ აჩვენეს, რადგან ყველა შემთხვევაში მათი პასუხი ამომწურავი გახლდათ. „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიამ“ კი თავი აარიდა მესამე კითხვაზე პასუხს და კითხვის ავტორი გადაამისამართა ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდზე სასურველი ინფორმაციის მოსაძებნად. მოქალაქეებისთვის სასურველი ინფორმაციის მიწოდების მხრივ ყველაზე ცუდი შედეგი აჩვენეს ბიძინა ივანიშვილისა და ნაციონალური მოძრაობის გვერდებმა. მათ საკუთარ საქმიანობასთან დაკავშირებით არცერთი ინფორმაცია არ გასცეს.

4.4 მოქალაქეების კომენტარებზე გამოხმაურება


სამთავრობო უწყებების მხრიდან ორმხრივი ინტერაქციის შესამოწმებლად საგულისხმო მეთოდია მოქალაქეების კომენტარებზე გამოხმაურება, რომელიც ამოწმებს რამდენად პასუხობს გვერდის ადმინისტრაცია მოქალაქის შეკითხვებს, რომლებიც კომენტარების ან კედლის პოსტების სახით განთავსდება. მოქალაქეებისადმი გამოხმაურების სიხშირესთან ერთად, შეგიძლიათ ჩაატაროთ შემდეგი ტიპის მონიტორინგი:

- დააკვირდეთ დატოვებული კომენტარების შინაარსს, რათა დაადგინოთ რამდენად მრავალფეროვანი კომენტარები დევს გვერდზე;
- დააკვირდეთ კითხვებზე ადმინისტრატორის პასუხის შინაარსს და დაასკვნათ, რამდენად ამომწურავი და კონსტრუქციული იყო მიწოდებული უკუკავშირი;
- აღრიცხოთ მომხმარებელთა მიერ დაწერილი კითხვებისა და მათზე ადმინისტრატორისგან მიღებული პასუხების რაოდენობა. სისტემატური აღრიცხვის შემთხვევაში, თქვენ გექნებათ მნიშვნელოვანი სტატისტიკური მონაცემები გვერდის ინტერაქციულობის ხარისხის შესახებ.



ამგვარად, ხსენებული მეთოდებით შესაძლებელი იქნება შეამოწმოთ, რამდენად გამოიყენება თქვენთვის საინტერესო საკვლევი ობიექტის გვერდი სადისკუსიო პლატფორმად, რამდენად ხშირად პასუხობს გვერდის ადმინისტრატორი მოქალაქის მიერ გვერდზე დადებულ შეკითხვებს და ზოგადად, შეაფასოთ გვერდზე წარმოებული კომუნიკაციის ხარისხი.

მაგალითები: 2012-2013 წლებში IDFI-ის მიერ საჯარო დაწესებულებების გვერდების მონიტორინგისას, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო გახლდათ ერთ-ერთი უწყება, რომლის Facebook გვერდზე საკმაოდ მაღალი იყო მოქალაქეებისადმი გამოხმაურების ხარისხი. ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე ნაჩვენებია თუ რამდენი კომენტარი დაფიქსირდა ცალკეულ თვეში როგორც მომხმარებლის, ასევე გვერდის მოდერატორის მხრიდან. აშკარაა, რომ ჯანდაცვის სამინისტრო საკმაოდ აქტიურად ეხმაურებოდა სოციალურ ქსელში მოქალაქეების მიერ წამოჭრილ საკითხებს, მაქსიმალურად ცდილობდა დასმულ შეკითხვებსა თუ მოსაზრებებზე პასუხის გაცემას.



კომენტარების რაოდენობასთან (რომელიც განსაზღვრავს მომხმარებელთა აქტიურობას) ერთად საყურადღებოა მისი შინაარსი:

- ✓ რა სახის კომენტარები შეიძლება შეგხვდეთ გვერდის დათვალიერებისას;
- ✓ რამდენია ამათგან დადებითი, რამდენი ნეიტრალური და რამდენი უარყოფითი;
- ✓ არსებობს თუ არა ერთი მომხმარებლის მხრიდან სხვისი სახელის გამოყენებით რამდენიმე კომენტარის დაწერის ანუ ყალბი ანგარიშების ე.წ. „Fake accounts“ შექმნის/გამოყენების პრაქტიკა.

ამის შესამოწმებლად, მონიტორინგის პროცესში უნდა აღრიცხოთ და გაანალიზოთ შემდეგი გარემოებები:

- თითოეულ პოსტზე დაწერილი კომენტარების ავტორები და მათი პროფილი (შექმნის თარიღი, ფოტოებისა და პოსტების გაზიარების სიხშირე, მეგობართა რაოდენობა და შემადგენლობა);
- კომენტარების შინაარსი;
- ყველაზე აქტიური მომხმარებლები და მათ მიერ დაწერილი კომენტარების რაოდენობა;
- ყველაზე აქტიური მომხმარებლების მიერ მოწონებული პოლიტიკური დატვირთვის Facebook გვერდები.¹⁰

¹⁰ ამ მეთოდოლოგიით გამოვლინდა შინაგან საქმეთა მინისტრის, ალექსანდრე ჭიკაიძის გვერდზე ყალბი აქტიურობის შემთხვევები. იხილეთ სტატია: <http://goo.gl/FrxoHV>

საეჭვოა იმ მომხმარებლის გვერდი, თუ მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ:

- ✚ შექმნილია რამდენიმე თვის წინ;
- ✚ მომხმარებელს საკუთარ კედელზე არ აქვს სხვა აქტივობა, გარდა სამთავრობო უწყებების სიახლეების გაზიარებისა;
- ✚ კონკრეტული უწყების გვერდზე დღეში ათობით დადებითი შინაარსის კომენტარს ტოვებს, მაგრამ არცერთი მათგანი არ არის შეკითხვა ან პრობლემის გაზიარება;
- ✚ მოწონებული აქვს მხოლოდ სამთავრობო უწყებების Facebook გვერდები;
- ✚ მეგობრების სიაში დამატებული ჰყავს სხვა ასეთივე საეჭვო Facebook ანგარიშები.¹¹



4.5 მომხმარებლის კომენტარების ცენზურის ფაქტების გამოვლენა

Facebook გვერდების ადმინისტრატორებს შეუძლიათ გაფილტრონ და წაშალონ კრიტიკული შინაარსის კომენტარები. ამგვარი ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში კითხვის ნიშნის ქვეშ დგება გვერდის ღიაობა. ამის დადგენის ყველაზე გავრცელებული მეთოდია ახლადდადებული კომენტარების დათვალიერება და კრიტიკული კომენტარებისთვის სურათის (Screen shot) გადაღება. რამდენიმე ხანში, ხელახალი მონიტორინგისას, თუ აღმოაჩენთ, რომ კომენტარი წაშლილია, გეჟნებათ ცენზურის ფაქტის დამადასტურებელი ფოტო.

კომენტარების წაშლაზე მიუთითებს ის ფაქტიც, თუ ცალკეული პოსტის ქვემოთ განთავსებული არ არის იმ რაოდენობის კომენტარი, რაც მითითებულია კონკრეტული პოსტის ქვეშ. ქვემოთ მოცემულ ფოტოზე ნაჩვენებია მსგავსი შემთხვევა: წესით, სურათზე 16 კომენტარი უნდა ყოფილიყო, თუმცა, სავარაუდოდ ცენზურის შემდეგ, მასზე მხოლოდ 5 კომენტარიღაა დარჩენილი.



¹¹ ჩუხუა ს. (2012) მინისტრის კულტი. ბლოგი- ელექტრონული ჩართულობა საქართველო



არასასურველი კომენტარების წაშლასთან ერთად, გვერდის მფლობელებს კომენტარების დამალვის უფლებაც აქვთ. მისი გამოყენების შემთხვევაში, კომენტარის ავტორი ვერ ხვდება, რომ მისი მოსაზრება გვერდის ადმინისტრატორმა სხვა ადამიანებისთვის შეუმჩნეველი გახადა.

მსგავსი სტრატეგიის გამოყენება IDFI-იმ დააფიქსირა 2014 წლის მაისში შინაგან საქმეთა მინისტრის, ალექსანდრე ჭიკაიძის ოფიციალურ Facebook გვერდებზე.¹² მონიტორინგისთვის სპეციალურად შექმნილი ანგარიშიდან დავწერეთ ერთ-ერთ ალბომზე შემდეგი კითხვა: „გამარჯობა. რატომ იშლება კომენტარები და რატომ არის მხოლოდ დადებითი შინაარსის მოსაზრებები დატოვებული ყველა პოსტზე?“ ეს კომენტარი ამავე ანგარიშიდან ჩანდა, თუმცა თუ მინისტრის გვერდზე Facebook-ის სხვა ანგარიშიდან შეხვიდოდით, აღნიშნულ შეკითხვას ვეღარ ნახავდით.



¹² <http://goo.gl/D6lWJr>

4.6 ინტერაქციული აპლიკაციები

მთავრობასა და მოქალაქეს შორის სოციალური ქსელებით ეფექტური კომუნიკაციის დამყარებისთვის მნიშვნელოვანია ინტერაქციული აპლიკაციების შექმნა. არსებობს სხვადასხვა საკომუნიკაციო სტრატეგია, რომელსაც მიმართავენ საჯარო დაწესებულებები და სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტები (პარტიები ან კანდიდატები) მოქალაქეების ინფორმირების, მათი აზრის მოსმენისა თუ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის შესაძლებლობის გაფართოებისთვის.

ინტერაქციული აპლიკაციების რაოდენობასთან ერთად საგულისხმოა მისი შინაარსობრივი დატვირთვაც. აპლიკაციების რაოდენობა მიუთითებს იმაზე, რომ სამთავრობო უწყება მოქალაქეებს ურთიერთობის რამდენიმე მექანიზმს სთავაზობს. თუმცა თუ ამ აპლიკაციების უმეტესობა გასართობია ან ცალმხრივი



ინტერაქციისთვის არის განკუთვნილი და არ მოიაზრებს გადაწყვეტილებების მიმღები პირებისთვის მოსახლეობის მიერ საკუთარი წინადადებების გაზიარებას, ეს ნიშნავს, რომ სამთავრობო ორგანიზაცია ნაკლებ მზაობას გამოთქვამს, გაითვალისწინოს მოქალაქეების აზრი ან ჩართოს ისინი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

საქართველოში Facebook გვერდებზე შეხვდებით ისეთ აპლიკაციებს, როგორცაა „ახალი თაობის იდეა პრემიერს“ (პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ოფიციალურ Facebook გვერდი), ვიზუალიზებული მონაცემები და ვიდეოები (საქართველოს მთავრობის Facebook გვერდი), აპლიკაცია „ჩემი კანდიდატი“ (2012 წელს წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებისას გამოიყენა ნაციონალურმა მოძრაობამ), გამოიწერე სიახლე (ელ-ფოსტაზე სიახლეების მისვლის აპლიკაცია), Youtube Channel, Flickr, Twitter, Live Stream (საჯარო დისკუსიების მოსაწყობად), ღია პეტიციები (პეტიციის შექმნის შესაძლებლობა), გამოკითხვები (აზრის დაფიქსირების საშუალებ თითოეულ საკითხზე).



ამ აპლიკაციების გამოყენების ეფექტურობის შესაფასებლად, შეგიძლიათ შეამოწმოთ:

- ტექნიკურად რამდენად მუშაობს თითოეული მათგანი;

- რამდენად ხშირად და ინოვაციური ხერხებით მოუწოდებს ადმინისტრატორი მოქალაქეებს აპლიკაციის გამოყენებისკენ;
- რამდენად ხშირად იყენებს აპლიკაციას მომხმარებელი;
- მომხმარებელი რამდენად ხშირად გამოთქვამს მოსაზრებას თითოეულ აპლიკაციასთან დაკავშირებით (მოწონების, კომენტარის, გაზიარების და ა.შ რაოდენობა)

მაგალითი: 2012-2013 წლებში ცენტრალური საარჩევნო კომისიის გვერდის ადმინისტრატორებს მოქალაქეებთან კომუნიკაციის საკმაოდ ინოვაციური სტრატეგია ჰქონდათ შემუშავებული: უშუალოდ ცესკოს საქმიანობის გაშუქების გარდა, ეს გვერდი მომხმარებლებს აცნობდა საინტერესო ფაქტს სხვადასხვა ქვეყნის საარჩევნო გამოცდილებიდან, რუბრიკით „იცით თუ არა, რომ“. გარდა ამისა, ცესკომ ჩაატარა ონლაინ გამოკითხვა, Facebook-ზე კითხვის დასმის აპლიკაციის მეშვეობით.¹³



¹³ჩუხუა ს. თოლორდავა ს. კეჭაყმაძე მ. (2012) საჯარო დაწესებულებების Facebook გვერდების ანალიზი იანვარ-აპრილის მონიტორინგის შედეგები. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

5. ინტერნეტ ცენზურის შემთხვევების დაფიქსირება

2014 წელს IDFI-მ შექმნა ინტერნეტის მომხმარებელთა შეზღუდვის შემთხვევების ამსახველი ინტერაქტიული რუკა www.freedomtointernet.com.

როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირს საშუალება აქვს ვებ-გვერდზე ატვირთოს ინტერნეტ შეზღუდვის შემთხვევები, მათ ადგილის, დროისა და შემთხვევის მცირე აღწერის მითითებით. ამგვარი ფაქტები შეიძლება მოიცავდეს ცენზურას, თვალთვალს, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევას, დევნას ონლაინ აქტივობის გამო, ვებ-გვერდების გაფილტვრა-დაბლოკვას და ა.შ. პლატფორმაზე შეტყობინების ატვირთვა ანონიმურადაც შესაძლებელია.

საკუთარი მონიტორინგის ჩატარებისას ან უბრალოდ ინტერნეტის მოხმარებისას, თუ აღმოაჩენთ ინტერნეტის მოხმარებასთან დაკავშირებულ დარღვევებს, შეგიძლიათ აღნიშნულ პორტალზე ანონიმურად ან თქვენი სახელით დაწეროთ ინფორმაცია. ამისთვის პირველ რიგში გაიარეთ რეგისტრაცია.

რეგისტრაციის ორი ფორმა არსებობს: ანონიმური და ჩვეულებრივი.

ჩვეულებრივი რეგისტრაცია: უნდა დააფიქსიროთ შემდეგი ინფორმაცია:

- სახელი, გვარი;
- მომხმარებლის სახელი;
- პაროლი;
- ელ-ფოსტა;
- დაწესებულება/ორგანიზაცია (არ არის სავალდებულო);
- პოზიცია (არ არის სავალდებულო).

ანონიმური რეგისტრაცია: აუცილებლად უთითებთ მომხმარებლის სასურველ სახელსა და პაროლს. იმ შემთხვევაში თუ გინდათ, რომ ვებ-გვერდის

ადმინისტრატორისგან მიიღოთ გამოხმაურება, უნდა მიუთითოთ თქვენი ელ-ფოსტაც.

ავტორიზაციის გავლის შემდეგ შედით პორტალზე და დაარეგისტრირეთ თქვენ მიერ დაფიქსირებული ინტერნეტ ცენზურის ფაქტი. ცალკეული შემთხვევის ატვირთვისას უნდა მონიშნოთ შემდეგი ინფორმაცია: თქვენი სტატუსი/პროფილი, ინტერნეტი მოხმარების

შემზღუდველი დაწესებულება/სუბიექტი, შეზღუდვის ობიექტი, შემთხვევის ადგილი (შესაძლებელია რუკაზე ზუსტი ადგილის მითითებაც), შემთხვევის სახეობა, ქვეყანა. ამ დეტალებთან ერთად, შესაძლებლობა გაქვთ დეტალურად აღწეროთ ინციდენტის ისტორია და არსი.

შეჯამება

სახელმძღვანელოში განხილული იყო საქართველოში ელექტრონული მმართველობის ხარისხის შემოწმებისა და ამ მიმართულებით არსებული გამოწვევების აღმოჩენის ძირითადი მეთოდები. განსაკუთრებული აქცენტი იყო გაკეთებული მოქალაქეებსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის არსებული კომუნიკაციის შეფასებასა და დაკვირვებაზე. აღნიშნული მასალა შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს ონლაინ აქტივიზმით, ინტერნეტ კომუნიკაციითა და ელექტრონული მმართველობით დაინტერესებული სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის (ჟურნალისტები, სტუდენტები, აქტივისტები და ა.შ).

მონიტორინგის ჩატარებისას მნიშვნელოვანია მეთოდოლოგიის დაკონკრეტება, დაკვირვების შედეგების თანმიმდევრული აღწერა, შენიშვნების აღრიცხვა და გამოვლენილი ტენდენციების მრავალჯერადი გადამოწმება.

დანართები

დანართი #1

საჯარო დაწესებულებების უმეტესობის ჩამონათვალი, რომლებსაც შეეხოთ მთავრობის #219 დადგენილება:

ა) ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

- 1) საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია;
- 2) სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო;
- 3) საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო;
- 4) აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი;
- 5) სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო;
- 6) სამოქალაქო ავიაციის სააგენტო;
- 7) საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო;
- 8) საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური;
- 9) ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო;
- 10) ბორჯომის ცენტრალური (ისტორიული) პარკის აღდგენისა და განვითარების ფონდი;
- 11) ციფრული მაუწყებლობის სააგენტო;
- 12) მეწარმეობის განვითარების სააგენტო;

- 13) საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო;
- 14) სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“;
- 15) სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი;
- 16) ინსტიტუტი „ოპტიკა“;
- 17) გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი;
- 18) რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი;
- 19) ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი;
- 20) მიკრო და ნანო ელექტრონიკის ინსტიტუტი.

ბ) საგარეო საქმეთა სამინისტრო

- 1) საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიურო

გ) განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

- 1) შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
- 2) განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
- 3) საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური
- 4) საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
- 5) ზ. ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა
- 6) განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
- 7) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
- 8) შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

დ) გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

- 1) დაცული ტერიტორიების სააგენტო
- 2) გარემოს ეროვნული სააგენტო
- 3) ეროვნული სატყეო სააგენტო
- 4) სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობა
- 5) გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

ე) სოფლის მეურნეობის სამინისტრო

- 1) სურსათის ეროვნული სააგენტო
- 2) ღვინის ეროვნული სააგენტო
- 3) სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია
- 4) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო

ვ) ფინანსთა სამინისტრო

- 1) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური
- 2) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახური
- 3) შემოსავლების სამსახური
- 4) საფინანსო-ანალიტიკური სამსახური
- 5) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო
- 6) ფინანსთა სამინისტროს აკადემია

7) ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - „საქართველო“ (MCA- GEORGIA)

ზ) შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

- 1) სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო
- 2) სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი
- 3) სოციალური მომსახურების სააგენტო
- 4) ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
- 5) სამედიცინო მედიაციის სამსახური
- 6) ნარკომანიის და ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკისა და პროგრამების მართვის ცენტრი
- 7) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი
- 8) ახალგორის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება

თ) ენერგეტიკის სამინისტრო

- 1) ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო

ი) კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

- 1) კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

კ) სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

- 1) საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე
- 2) ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი
- 3) ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი
- 4) ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი
- 5) ქართული სპორტის მუზეუმი

ლ) თავდაცვის სამინისტრო

- 1) კიბერუსაფრთხოების ბიურო
- 2) ეროვნული თავდაცვის აკადემია
- 3) კადეტთა სამხედრო ლიცეუმი
- 4) სამხედრო ჰოსპიტალი

მ) იუსტიციის სამინისტრო

- 1) აღსრულების ეროვნული ბიურო
- 2) დანაშაულის პრევენციის ცენტრი
- 3) იუსტიციის სახლი

- 4) იუსტიციის სასწავლო ცენტრი
- 5) მონაცემთა გაცვლის სააგენტო
- 6) სმართ ლოჯიკი
- 7) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- 8) სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო
- 9) საქართველოს ეროვნული არქივი
- 10) საკანონმდებლო მაცნე
- 11) ნოტარიუსთა პალატა

ნ) შინაგან საქმეთა სამინისტრო

- 1) სასაზღვრო პოლიცია
- 2) შსს აკადემია
- 3) დაცვის პოლიცია
- 4) შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური
- 5) სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი
- 6) შსს მომსახურების სააგენტო

ო) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

პ) სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

- 1) სასჯელაღსრულების დეპარტამენტი
- 2) არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო
- 3) იურიდიული დახმარების სამსახური
- 4) სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი

ჟ) რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

- 1) საავტომობილო გზების დეპარტამენტი
- 2) მუნიციპალური განვითარების ფონდი
- 3) ვანო ხუხუნიანიშვილის სახელობის ევექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი
- 4) ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი

რ) ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი

ს) შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი

ტ) დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი

საჯარო დაწესებულებები, რომელთაც თავად გამოაქვეყნეს პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხა:

ა) აჭარის ა/რ მთავრობის აპარატი

- 1) საარქივო სამმართველო
- 2) საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი
- 3) გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო
- 4) ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი
- 5) პრიორიტეტების კომისია

ბ) აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

- 1) აჭარის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტო
- 2) ბათუმის ბულვარი
- 3) სახაზინო სამსახური
- 4) სამშენებლო და ტექნიკური ლაბორატორია

გ) აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

- 1) საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი
- 2) დასაქმების სააგენტო

დ) აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო

- 1) ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი

ე) აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ვ) აჭარის ა/რ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი

ზ) საქართველოს პარლამენტი

თ) საქართველოს უზენაესი სასამართლო

დანართი #2: თანამდებობის პირის ცნება

"საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლი გვთავაზობს თანამდებობის პირთა ჩამონათვალს:

- 1) საქართველოს პრეზიდენტი;
- 2) საქართველოს პარლამენტის წევრი;
- 3) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები;
- 4) აფხაზეთისა და აჭარის რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები;
- 5) საქართველოს მინისტრი და მისი მოადგილე;
- 6) საქართველოს სახელმწიფო მინისტრი და მისი მოადგილე;
- 7) საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსი და მისი მოადგილე;
- 8) საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი და მისი მოადგილე;
- 9) საქართველოს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, აგრეთვე, მასთან გათანაბრებული პირი;
- 10) საქართველოს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, აგრეთვე მასთან გათანაბრებული პირები; *(29.06.2012 N 6612 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 60-ე დღეს)*
- 11) საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, აგრეთვე მასთან გათანაბრებული პირი;
- 12) საქართველოს მთავრობის კანცელარიის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, აგრეთვე მასთან გათანაბრებული პირი;
- 13) საქართველოს საგადასახადო ომბუდსმენი და მისი მოადგილე;
- 14) საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, აგრეთვე მასთან გათანაბრებული პირი;
- 15) საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი, მისი მოადგილე, დეპარტამენტის უფროსები და მათთან გათანაბრებული პირები; *(29.06.2012 N 6612 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 60-ე დღეს)*
- 16) საქართველოს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელი;
- 17) საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების დეპარტამენტების, ბიუროების, მთავარი სამმართველოებისა და სამმართველოების უფროსები და მათი მოადგილეები, აგრეთვე მათთან გათანაბრებული პირები;
- 18) შემოსავლების სამსახურის უფროსი, მისი პირველი მოადგილე და მოადგილეები, შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ორგანოს ხელმძღვანელები;

- 19) გენერალური აუდიტორი, მისი მოადგილე, სახელწმიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდენტის წევრი, დეპარტამენტების, რეგიონალური და ქალაქის ბიუროების ხელმძღვანელები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში აუდიტის სამსახურის თავმჯდომარეები;
- 20) საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და საბჭოს წევრი;
- 21) საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს წევრი;
- 22) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი;
- 23) საქართველოს დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიის წევრი;
- 24) საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე და კომისიის მდივანი;
- 25) სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი და მისი მოადგილე;
- 26) რაიონისა და ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი, ცხინვალი) ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების ხელმძღვანელები;
- 27) რაიონისა და ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი, ცხინვალი), აგრეთვე ქალაქის რაიონის ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელები და მათი პირველი მოადგილეები;
- 28) თვითმმართველი ქალაქის (თბილისი, ბათუმი, სოხუმი, ფოთი, ცხინვალი) და მუნიციპალიტეტის საკრებულოების თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები, საკრებულოს კომისიათა თავმჯდომარეები და საკრებულოს მდივანი; მოადგილეები, საკრებულოს კომისიათა თავმჯდომარეები და საკრებულოს მდივანი; *(29.06.2012 N 6612 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 60-ე დღეს)*
- 29) თვითმმართველი ქალაქის (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი, ცხინვალი) მერი, მისი მოადგილე, მუნიციპალიტეტისა და ქალაქის რაიონის გამგებელი და მათი მოადგილეები; *(29.06.2012 N 6612 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 60-ე დღეს)*
- 30) მოსამართლე;
- 31) საქართველოს მთავარი პროკურორი და მისი მოადგილე, საქართველოს მთავარი პროკურორის დეპარტამენტებისა და სამსახურების ხელმძღვანელები და მათთან გათანაბრებული პირები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, ქ. თბილისის, საოლქო და რაიონული პროკურორები;
- 32) საქართველოს კონსტიტუციის პირდაპირი მითითების საფუძველზე არჩეული, დანიშნული ან დამტკიცებული სხვა პირი.

2013 წლის 29 ნოემბერს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ საქართველოს კანონში“ შევიდა ცვლილებები, რომლის მიხედვითაც გაფართოვდა იმ თანამდებობის პირების სია, ვისაც ევალება ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება

და გამოქვეყნება ვებ-გვერდზე www.declaration.gov.ge. ცვლილება 2014 წლის 14 იანვრიდან ამოქმედდა.

კანონში შესული ცვლილებებით თანამდებობის პირთა ნუსხას დაემატნენ:

- სამინისტროს სამმართველოების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები;
- სახელმწიფო მინისტრის აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელის მოადგილეები;
- საქართველოს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებათა ხელმძღვანელის მოადგილეები;
- იმ საწარმოთა ხელმძღვანელები, რომლის აქციათა ან წილის 100 პროცენტს ფლობს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, აგრეთვე ამ საწარმოს შვილობილი საწარმოს ხელმძღვანელი.
- სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ხელმძღვანელები;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირების შემთხვევაში, თუკი მანამდე თანამდებობის პირად მიიჩნეოდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული მხოლოდ **ზოგიერთი** სსიპ-ის ხელმძღვანელი, ახალი ცვლილებების შემდეგ **რელიგიური, კულტურული, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობებისათვის შექმნილი სსიპ-ების გარდა ყველა საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი და აგრეთვე მისი მოადგილე** მიიჩნევა თანამდებობის პირად;
- აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების საქვეუწყებო დაწესებულებათა ხელმძღვანელები.

რაც შეეხება თვითმმართველ ორგანოებს, 2014 წლის 5 თებერვლის რედაქციით თანამდებობის პირების ნუსხას დაემატნენ გამგეობისა და მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები:

- გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
- თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
- რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

აღნიშნული ცვლილებების ყველაზე მნიშვნელოვანი ნოვაცია არის ის, რომ 2013 წლის ნოემბრის ცვლილებებამდე სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული შპს-ებისა და ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელები არ ითვლებოდნენ თანამდებობის პირებად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. „ელექტრონული მმართველობა საქართველოში: მსოფლიო ტენდენციები“. IDFI. 2010. <https://idfi.ge/ge/e-governance-in-georgia-world-tendencies>
2. ელ-მმართველობა და ელ-გამჭვირვალობა - საერთაშორისო ტენდენციები და საქართველო. IDFI. 2011. <https://idfi.ge/ge/e-governance-and-e-transparency-international-tendencies-and-georgia-levan-avalishvili->
3. „ელექტრონული ჩართულობა საქართველოში - კვლევის პირველადი შედეგები“. IDFI. 2012. <https://idfi.ge/ge/the-primary-results-of-the-research-e-participation-in-georgia>
4. „ელექტრონული ჩართულობა საქართველოში - კვლევის მეორე ეტაპის შედეგები“. IDFI. 2012. <https://idfi.ge/ge/results-of-second-stage-of-research-e-participation-in-georgia>
5. „სამთავრობო დაწესებულებების ელექტრონული კომუნიკაციის სტრატეგია“. IDFI. 2013. <https://idfi.ge/ge/-electronic-communication-strategy-of-governmental-institutions--15>
6. „ელ-ჩართულობის მექანიზმები საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდებზე“. IDFI. 2013. <https://idfi.ge/ge/e-participation-mechanisms-on-the-web-pages-of-public-institutions-24>
7. „ელექტრონული კომუნიკაციის განვითარება საქართველოში - ინტერნეტის ხელმისაწვდომობა“. IDFI. 2013. <https://idfi.ge/ge/development-of-e-communication-in-georgia-access-to-the-internet-31>
8. „საჯარო დაწესებულებების Facebook გვერდების იანვარ-აპრილის მონიტორინგის შედეგები“. IDFI. 2013. <https://idfi.ge/ge/the-results-of-january-april-monitoring-of-official-facebook-pages-of-public-institutions-35>
9. „ელ-ჩართულობის მექანიზმები საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდებზე - საბოლოო ანგარიში“. IDFI. 2013. <https://idfi.ge/ge/e-participation-mechanisms-on-the-web-pages-on-public-institutions-final-report-36>
10. „პროექტის - ელექტრონული ჩართულობის განვითარება საქართველოში - საბოლოო ანგარიში“. IDFI. 2013. <https://idfi.ge/ge/development-of-e-participation-in-georgia-final-report-37>
11. „რეკომენდაციები Facebook-ზე კომუნიკაციის დასახვეწად“. <https://idfi.ge/ge/research-38>
12. „საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნებისა და ელექტრონული ფორმით მოთხოვნის პრაქტიკა საჯარო დაწესებულებებში“. IDFI. 2014. <https://idfi.ge/ge/practice-of-e-request-of-public-information-and-proactive-disclosure-in-public-institutions>
13. „შენი უფლებაა იცოდე - პრაქტიკული საკითხავი მასალა“. IDFI. 2012. <https://idfi.ge/ge/research-12>

სხვა წყაროები:

1. ელექტრონული ჩართულობის ბლოგი: <http://eparticipationge.wordpress.com/>
2. საჯარო ინფორმაციის ანალიტიკური ბლოგი: <http://opendatablog.wordpress.com/>